# ქალაქები და რეგიონები:

# პაქტი ბავშთა მიმართ სექსუალური ძალადობის შესაწყვეტად

კონგრესის მონაწილეობა ევროპის საბჭოს კამპანიაში „ერთი ხუთიდან“

მხარი დაუჭირა კონგრესის ბიურომ 2012 წლის 14 სექტემბერს

ევროპის საბჭოს ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოების კონგრესი

გამოცემა: თებერვალი, 2013

სარჩევი

პაქტის შესახებ Error! Bookmark not defined.
რას შეეხება პაქტი? **Error! Bookmark not defined.**
რატომ უნდა ჩაერთონ ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოები? **Error! Bookmark not defined.**
რას გვთავაზობს კონგრესი? **Error! Bookmark not defined.**
ევროპის საბჭოს კონგრესი რის გაკეთებას მოითხოვს ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოებისაგან? **Error! Bookmark not defined.**
რა არის კონგრესის პაქტი ქალაქებისა და რეგიონებისთვის ბავშვთა მიმართ ძალადობის შესაწყვეტად? **Error! Bookmark not defined.**
რას მოიცავს პაქტის ხელისმოწერა? **Error! Bookmark not defined.**
ვინ არიან ძირითადი პარტნიორები? **Error! Bookmark not defined.**

**ოთხი ძირითადი „P"Error! Bookmark not defined.**
ოთხი ძირითადი „P": Prevention - პრევენცია **Error! Bookmark not defined.**
ოთხი ძირითადი „P": Protection - დაცვა **Error! Bookmark not defined.**
ოთხი ძირითადი „P": Prosecution - სამართლებრივი დევნა **Error! Bookmark not defined.**
ოთხი ძირითადი „P": Participation - მონაწილეობა **Error! Bookmark not defined.**

**კონკრეტულად რა ზომებია მისაღები რეგიონულ დონეზე? Error! Bookmark not defined.**

**როგორ იმუშავებს პაქტი პრაქტიკაში?**Error! Bookmark not defined.
ონლაინ „პლატფორმა" რეგისტრაციისათვის **Error! Bookmark not defined.**

**განსახორციელებელ ქმედებათა საკონტროლო სია ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოებისათვის** Error! Bookmark not defined.

პრევენცია **Error! Bookmark not defined.**
დაცვა **Error! Bookmark not defined.**
**დოკუმენტები და საიტები Error! Bookmark not defined.**

## პაქტის შესახებ

### რას შეეხება პაქტი?

არსებული მონაცემები აჩვენებს, რომ ევროპაში ხუთიდან ერთი ბავშვი ხდება სექსუალური ძალადობის რომელიმე ფორმის მსხვერპლი და ეს ბავშვთა მიმართ ძალადობის ყველაზე ამაზრზენი ფორმაა. სექსუალური ძალადობის მრავალი ფორმა არსებობს, მათ შორის, ინცესტი, პორნოგრაფია, პროსტიტუცია, ტრეფიკინგი ადამიანთა ცხოვრებაში, ბავშვთა გარყვნა, ცდუნება ინტერნეტის მეშვეობით, სექსუალური ექსპლუატაცია და სექსუალური ძალადობა. თითოეულმა ფორმამ შეიძლება გამოიწვიოს ბავშვთა ფსიქიკური და ფიზიკური ჯანმრთელობის სერიოზული დაზიანება და იწვევს კიდეც. სექსუალური ძალადობის შედეგები ბავშვებს მიჰყვებათ მოზრდილობაშიც - მიჰყვებათ მთელი ცხოვრება, რომელსაც, მათივე აღწერით, ფარულ დარდსა და ტკივილში განლევენ.

2010 წელს ევროპის საბჭომ წამოიწყო კამპანია ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის პრობლემაზე პასუხის გასაცემად. ეს კამპანია - „ერთი ხუთიდან“ - ემსახურება პრობლემის მასშტაბის გააზრებას, მიზნად ისახავს სახელმწიფოების მხრიდან ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან დაცვის ევროპის საბჭოს კონვენციის (შემდგომში „ლანზაროტის კონვენცია“) ხელმოწერას, რატიფიკაციასა და განხორციელებას; ასევე ბავშვებისა და მათი ოჯახების/მომვლელების, საერთოდ, მთელი საზოგადოების აღჭურვას ცოდნით, როგორ დაიცვან ბავშვები სექსუალური ძალადობისა და გარყვნილი ქმედებისაგან და მოახდინონ ამგვარი დანაშაულის პრევენცია, რითაც ამაღლებენ ცნობიერებას ამ საკითხზე.

## რატომ უნდა ჩაერთონ ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოები?

ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოები პასუხისმგებელნი არიან ბავშვებისა და ახალგაზრდების უსაფრთოხებასა და კეთილდღეობაზე იმ არეალში, სადაც ისინი ერთად ცხოვრობენ, მუშაობენ პარტნიორებთან, როგორიცაა მესამე სექტორი, საჯარო ორგანიზაციები და კერძო სექტორი. მათ უნდა მიმართონ ოთხმხრივ მიდგომას, ე.წ. ოთხი „P”-ს პრინციპს - Prevention - პრევენცია, Protection - დაცვა, Prosecution - სამართლებრივი დევნა და Participation - მონაწილეობა. ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობისა და გარყვნილი ქმედების შემთხვევებთან გამკლავების პროცესში ევროპის ქალაქებისა და რეგიონების ამოცანაა, აამაღლონ ცნობიერება ამ საკითხზე, განავითარონ და განახორციელონ საზოგადოებაზე ორიენტირებული სამოქმედო გეგმები და სტრატეგიები ოთხი „P”-ს პრინციპის დასაცავად და ინვესტირება მოახდინონ უკეთეს სერვისებში. ყველა ტიპის მომსახურება და ქმედება პატივს უნდა მიაგებდეს ბავშვების უფლებებს, პირველ ადგილზე აყენებდეს მათ საუკეთესო ინტერესებს, იძლეოდეს იმის საშუალებას, რომ ბავშვების ხმა ესმოდეთ, რათა ადგილობრივ დონეზე გადასცენ ბავშვებსა და მათ ოჯახებს, თუ რა არის საჭირო სექსუალური ექსპლუატაციისა და ძალადობის შესაჩერებლად, ასევე დამნაშავეთა დასასჯელად.

## რას გვთავაზობს კონგრესი?

იმისათვის, რომ სათანადოდ შეფასდეს „ერთი ხუთიდან“ კამპანიის ადგილობრივი და რეგიონული განზომილება, ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოთა ევროპის საბჭოს კონგრესმა მიიღო სტრატეგიული სამოქმედო გეგმა, რომლის საგანგებო ამოცანებია:

1. ცნობიერების ამაღლება კონგრესის წევრებს, ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოებს, მათ გაერთიანებებსა და სხვა პარტნიორებს შორის, რომლებიც ემსახურებიან კამპანიის მიზნებს;
2. ძალადობის ყველა ფორმისაგან ბავშვთა დაცვის მექანიზმების შემუშავებისა და შესაბამისი სტრუქტურების შექმნის პროცესში, ევროპის საბჭოს სამართლებრივი სტანდარტებისა და ინსტრუმენტების გამოყენების ხელშეწყობა (ლანზაროტის კონვენცია და სახელმძღვანელო პრინციპები ბავშვებზე ორიენტირებული მართლმსაჯულების გარშემო);
3. ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოების მოწოდება, რათა მათ დაიწყონ შესაბამისი კამპანიები, განავითარონ ცნობიერების ამაღლების საშუალებები ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის აღსაკვეთად, კერძოდ, გაავრცელონ კამპანიის ცნობიერების ასამაღლებელი მასალები (წესები საცვლების შესახებ), რათა დაეხმარონ მშობლებსა და მომვლელებს იმაში, რომ ისინი მათთვის გასაგებ ენაზე დაელაპარაკონ ბავშვებს სექსუალური ძალადობის შესახებ;
4. სხვადასხვა დაინტერესებული მხარის ჩართულობის ხელშეწყობა, ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოთა დარწმუნება, რომ ჩამოაყალიბონ კოორდინირებული მულტიდისციპლინური სტრუქტურები, პროცესები და მექანიზმები, რათა ებრძოლონ ბავშვთა მიმართ სექსუალურ ძალადობას;
5. ქალაქებსა და რეგიონებში ბავშვებზე ორიენტირებული კულტურის ჩამოყალიბება, ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის საშუალების მიცემა, რომ გააზრებული მონაწილეობა მიიღონ სექსუალური

ძალადობისაგან თავისუფალი საზოგადოების ჩამოყალიბებაში.

## ევროპის საბჭოს კონგრესი რის გაკეთებას მოითხოვს ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოებისაგან?

აღმოჩნდა, რომ ადგილობრივ დონეზე ქმედებები ძალიან მწირია. მართლაც, 2010 წელს დიდ ბრიტანეთში ჩატარებული კვლევა აჩვენებს, რომ ამ წევრ სახელმწიფოში ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოთაგან მეოთხედზე ნაკლებს ჰქონდა სტრატეგია ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისაგან დასაცავად.[1] ამ დროს, ხელმისაწვდომი კვლევები და მტკიცებულებები აჩვენებს, რომ ბავშვების სექსუალური ექსპლუატაცია ხდება არა მხოლოდ დიდ ბრიტანეთში, არამედ ევროპის საბჭოს წევრი ორმოცდაშვიდივე სახელმწიფოს ყველა არეალში, მიუხედავად იმისა, რომ მონაცემთა შეგროვების მეთოდები ყოველთვის არ იძლევა შესაძლებლობას, საკმარისად გაამყაროს ეს არგუმენტი.

ამდენად, კონგრესის მიზანია, ბიძგი მისცეს „ერთი ხუთიდან“ კამპანიას და ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოებში აამაღლოს ცნობიერება ლანზაროტის კონვენციის შესახებ იმისათვის, რომ მათ შექმნან ბავშვებზე მორგებული ადგილობრივი და რეგიონული სერვისები, დაიცვან ბავშვები და დაეხმარონ საზოგადოებას სექსუალური ძალადობის პრევენციაში.

ამგვარად, ევროპის საბჭოს კონგრესი მოუწოდებს ყველა ქალაქსა და რეგიონს, სასწრაფოდ იკისრონ „ერთი ხუთიდან“ კამპანიის ვალდებულებები, რაც მიიღწევა ხელისმოწერით

[1] რა კეთდება ბავშვებისა და ახალგაზრდების სექსუალური ექსპლუატაციისაგან დასაცავად? Jago et al., ოქტომბერი, 2011.

კონგრესის პაქტზე ქალაქებისა და რეგიონებისთვის ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის შესაწყვეტად.

## რა არის კონგრესის პაქტი ქალაქებისა და რეგიონებისთვის ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის შესაწყვეტად?

მოქმედება სასურველია - მეტიც, აუცილებელია - ზემოთ აღწერილი ოთხივე "P"-ს მიმართულებით. კონგრესმა შეიმუშავა შესაძლო ქმედებათა ნუსხა, დაწყებული ისეთ ქმედებათაგან, რომლებიც ან არ ან მცირე რაოდენობით საჭიროებენ დანახარჯებს სახელმწიფოს მხრიდან, დამთავრებული ისეთებით, რომელთა განხორციელებასაც სჭირდება საფუძვლიანი ინვესტირება, რამდენადაც მოითხოვს საგანგებო სტრატეგიების განსაზღვრას და შესაბამისი სტრუქტურების შექმნას. რაც უნდა იყოს დანახარჯი, ღონისძიებები, გატარებული ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობისა და გარყვნილი ქმედების აღმოსაფხვრელად, ყოველთვის რენტაბელურია, რადგან ეს არის ინვესტიცია ჯანმრთელ საზოგადოებაში, რომელიც ადამიანის უფლებათა პატივისცემას ეფუძნება.

ამასთან, კონგრესის უმაღლესი მიზანია, რაც შეიძლება მეტმა ადგილობრივმა და რეგიონულმა საბჭომ და პარლამენტმა განავითაროს კოორდინირებული მულტიდისციპლინური სტრუქტურები, პროცესები და მექანიზმები ბავშვთა მიმართ სექსუალურ ძალადობასა და გარყვნილ ქმედებასთან საბრძოლველად. თავდაპირველად ქალაქებსა და რეგიონებს შეუძლიათ ნაბიჯ-ნაბიჯ შეიტანონ წვლილი „ერთი ხუთიდან" კამპანიაში - დაიწყონ სულ მცირედით, მაგალითად, კამპანიის შესახებ ცნობიერების ამაღლებით, ვთქვათ, განათავსონ შესაბამისი ბმული თავიანთი ვებ გვერდის მთავარ გვერდზე.

კონგრესი აჩქარებს 47 წევრი ქვეყნის ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოებს, ხელი მოაწერონ პაქტს და დაიწყონ ნაბიჯის გადადგმით - განახორციელონ სულ მცირე, ერთი ქმედება მაინც ჩვენი საკონტროლო სიიდან და წავიდნენ წინ ბავშვთა მიმართ სექსუალურ ძალადობასა და გარყვნილ ქმედებასთან ბრძოლის საქმეში, ხოლო საბოლოო მიზნად დაისახონ კოორდინირებული მულტიდისციპლინური სტრუქტურების, პროცესებისა და მექანიზმების ჩამოყალიბება.

## რას მოიცავს პაქტის ხელმოწერა?

მონაწილე ქალაქები და რეგიონები ხელს შეუწყობენ კონგრესის მიზანს, ამაღლდეს ცნობიერება და შეიქმნას საჭირო სტრუქტურები ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობისა და გარყვნილი ქმედების პრობლემასთან გასამკლავებლად. ამას მოახერხებენ ამ დოკუმენტში ჩამოთვლილ ღონისძიებათაგან რაც შეიძლება მეტის განხორციელებით, ან ნებისმიერი სხვა ქმედებით, რაც დაეხმარება კონგრესს მისი მიზნის მიღწევაში.

## ვინ არიან ძირითადი პარტნიორები?

ევროპის საბჭომ შექმნა 47 წევრი სახელმწიფოს მთავრობებისაგან დანიშნულ საკონტაქტო კოორდინატორთა ქსელი. კოორდინატორებს შეუძლიათ ურჩიონ და დაეხმარონ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს, გააერთიანონ იმ ათასობით არასამთავრობო ორგანიზაციისა და სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფთა ძალისხმევა, რომლებიც კამპანიაზე მუშაობენ. ზოგიერთ წევრ სახელმწიფოში ჩამოყალიბდა კამპანიის გუნდები ეროვნულ დონეზე. ეს გუნდები კოორდინირებას უწევენ და ახორციელებენ კამპანიის სამუშაოებს, აძლევენ მითითებებს რეგიონულ და

მუნიციპალურ დონეზე. მუნიციპალიტეტები და რეგიონები შეიძლება ასევე დაუკავშირდნენ შესაბამის სამინისტროებს ადგილობრივ დონეზე.

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ ჩამოაყალიბა საკონტაქტო პარლამენტართა ქსელი, რათა კოორდინირება გაუწიონ ეროვნულ, ევროპულ და საერთაშორისო საპარლამენტო მოქმედებებს ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში. ქსელი ამჟერად 49 წევრისაგან შედგება და ხელს უწყობს თითოეულ ქვეყანაში დანერგილ საკანონმდებლო და პოლიტიკურ ქმედებათა საუკეთესო პრაქტიკის გაცნობას.

## რა არის ოთხი „P"?

არსებობს მთელი რიგი პრევენციული ზომებისა, რომელთა განხორციელებაც შესაძლებელია ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე იმისათვის, რომ თავიდან აიცილონ ბავშვთა მიმართ სექსუალური ექსპლუატაცია და ძალადობა.

### *ცნობიერების ამაღლება*

ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოებმა უნდა შემოიღონ ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობისა და გარყვნილი ქმედების პრევენციის პროგრამები და შეიმუშაონ პოლიტიკა, რათა ცნობიერება აუმაღლონ ბავშვებს, ბავშვებთან მომუშავე ადამიანებს, მშობლებს, ოჯახებს, მომვლელებს და, ზოგადად, საზოგადოებას. ცნობიერების ამაღლებას შეუძლია გამოიწვიოს სოციალური ცვლილება, რაც დაეხმარება პრევენციული ზომების გატარებას.

პრევენციული პროგრამები და სტრატეგიები უნდა ითვალისწინებდეს, რომ ყველა მონაწილე მხარე გადიოდეს ადეკვატურ, მაღალი ხარისხის პროფესიულ ტრენინგს, რათა

უზრუნველყონ მომსახურებების ეფექტიანი და უსაფრთხო მიწოდება. მონაწილე მხარეთა შორისაა ყველა ის ადამიანი, ვისაც რეგულარული კონტაქტი აქვს ბავშვებთან, მაგალითად, სოციალური მუშაკები, ჯანდაცვის სპეციალისტები, მასწავლებლები (ყველა ეტაპზე, დაწყებითი საფეხურიდან მოყოლებული, საშუალოთი დამთავრებული), პოლიცია, კულტურის, დასვენებისა და სპორტის დაწესებულებათა თანამშრომლები, ეკლესიები, ახალგაზრდობის ცენტრები, სამართალდამცველები და სხვ.

<u>წინადადებები მოქმედებისათვის:</u>

- ქალაქებისა და რეგიონების ვებ გვერდის მთავარ ფურცელზე ევროპის საბჭოს კამპანიის „ერთი ხუთიდან“ ბმულის განთავსება
- საინფორმაციო სესიების ორგანიზება ბავშვებისა და თანამშრომლებისათვის სკოლებსა და ახალგაზრდობის ცენტრებში
- საინფორმაციო ფურცლების, ასევე ინფორმაციისა და სახელმძღვანელო პრინციპების ამსახველი ლიფლეტების გავრცელება
- ტრენინგების ჩატარება ადგილობრივი და რეგიონული სპეციალისტებისთვის
- პროფესიონალებისა და საზოგადოებისათვის დისკუსიებისა და სემინარების ორგანიზება
- ევროპული ადგილობრივი დემოკრატიის კვირეულის გამოყენება საკითხის აქტუალობის ხაზგასასმელად
- არასამთავრობო ორგანიზაციებთან, მედიასა და კერძო სექტორთან თანამშრომლობა

ნებისმიერი სტრატეგიის ნაწილი უნდა გახდეს რისკის ქვეშ მყოფ ბავშვთა ადრეული იდენტიფიცირება. აქედან გამომდინარე, საჭიროა ბავშვთა მიმართ ძალადობისა და ექსპლუატაციის სათანადო ცოდნა და ცნობიერების ამაღლება, თუ როგორ გამოვავლინოთ ნიშნები, რაც შეიძლება მიუთითებდეს სექსუალურ ძალადობაზე, ვთქვათ, ცვლილებები ქცევაში.

მშობლებმა, ოჯახებმა და მომვლელებმა ასევე უნდა ისწავლონ, როგორ ამოიცნონ ბავშვის სექსუალური ექსპლუატაციისა და მის მიმართ ძალადობის ინდიკატორები, განსაზღვრონ განსახორციელებელ ქმედებათა მიმართულება და რა გავლენა შეიძლება იქონიოს ამან ბავშვებსა და ოჯახებზე.

ტრენინგები უნდა შეეხებოდეს ასევე პრევენციულ ზომებს, როგორიცაა ონლაინ სივრცის მონიტორინგი, ასევე ბავშვების დახმარების გზებს, თუ როგორ დაიცვან თავი, მაგალითად, ინტერნეტის საზიანო შინაარსის ამოცნობით, ან უცნობებთან არასასურველი კონტაქტების არიდებით, რომლებმაც შესაძლოა გამოიკითხონ პირადი ინფორმაცია ვითომ დამეგობრების მიზნით. ეს ტრენინგი უნდა ეხებოდეთ მშობლებსაც, რომლებმაც უნდა ისწავლონ, როგორ დააკვირდნენ და გააკონტროლონ ინტერნეტთან წვდომა, ასევე ბავშვებს, რომლებმაც უნდა ისწავლონ ინტერნეტის რისკები და საფრთხეები. ინტერნეტის უსაფრთოხების საშუალებები ბავშვებისათვის, მშობლებისათვის, ოჯახებისათვის უნდა შემუშავდეს არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, ან უნდა გამოიყენებოდეს ცნობიერების ამაღლების არსებული საშუალებები.

ცნობიერების ასამაღლებელი ქმედებები უნდა მიემართებოდეს ზოგადად საზოგადოებასაც. საზოგადოებამ უნდა მიიღოს ინფორმაცია ამ ფენომენისა და პრევენციის ზომების შესახებ, რომელთა გატარებაც შესაძლებელია. ქალაქებისა და რეგიონების ვებ გვერდების მთავარ ფურცელზე ევროპის საბჭოს კამპანიის „ერთი ხუთიდან“ ბმულის განთავსება ერთ-ერთი საშუალებაა ამის მისაღწევად. ადგილობრივ დონეზე შესაძლებელია ასევე ადგილობრივი და ევროპული ცხელი ხაზებისა და დახმარების ხაზების ხელშეწყობა.

**წინადადებები მოქმედებისათვის:**

- ბავშვთა დახმარების ადილობრივი და ევროპული ცხელი ხაზის ნომრის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა
- ქალაქებისა და რეგიონების ვებ გვერდების მთავარ გვერდზე ბმულის განთავსება, რომელზე ერთი დაწკაპუნებითაც შესაძლებელი იქნება სწრაფი დახმარებისა და რჩევის მიღება
- მცირე ზომის ჯიბის საინფორმაციო ფურცლის მომზადება, სადაც იქნება საჭირო ტელეფონის ნომრები და მისამართები და ყველა სკოლის მოსწავლისთვის დარიგება
- მაცივრის მაგნიტის დამზადება, რომელზეც აღნიშნული იქნება საჭირო ტელეფონის ნომრები და მისამართები
- იმ ადგილებში, სადაც ხშირად ხვდებიან ბავშვები, პოსტერების გამოფენა, რომლებზეც აღნიშნული იქნება სად და ვის მიმართონ დასახმარებლად
- სკოლებსა და ახალგაზრდობის ცენტრებში ბავშვებზე მორგებული საგანმანათლებლო მასალების ხელმისაწვდომობა
- ლიფლეტებისა და ინტერნეტის უსაფრთხო გამოყენებაზე მონაცემების გავრცელება
- ინტერნეტში უკანონო საქმიანობაზე ინფორმაციის მიწოდების ხელშეწყობა

*ცნობიერების ამაღლება და საგანმანათლებლო მასალები*

ევროპის საბჭომ მოამზადა მასალები, რომელთა მიზანია ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობისა და შეურაცხყოფის საკითხის უკეთ გაგება და კამპანიის მესიჯების პოპულარიზაცია. მასალები მომზადებულია მათთვის, ვინც ბავშვებთან მუშაობს - გადაწყვეტილების მიმღებთათვის, საადვოკატო ჯგუფებისა და სხვა პროფესიონალთათვის. ცნობიერების ასამაღლებელი საგანგებო მასალები გადათარგმნილია 36 ენაზე და შემუშავებულია მშობლებისა და ბავშვების გასაძლიერებლად, რათა მათ შეძლონ სექსუალური ძალადობის პრევენცია ან ასეთი ფაქტის შემთხვევაში - შეტყობინება (www.underwearrule.org). ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოებმა უნდა დაბეჭდონ და გაავრცელონ „ერთი ხუთიდან" კამპანიის მასალები სკოლებში, საბავშვო ბაღებსა და სხვა დაწესებულებებში, სადაც ბავშვები ხვდებიან (ახალგაზრდული კლუბები, ახალგაზრდული ასოციაციები, მაგ. სკაუტები და სხვ). (კონტაქტი:1in5@coe.int).

*ბავშვთა განათლება*

ბავშვები, სწავლობენ რა სექსუალური ძალადობისა და გარყვნილი ქმედების შესახებ, სხვადასხვა ტიპის ძალადობისა და სარისკო სიტუაციების ჩათვლით, ივითარებენ ცოდნასა და უნარებს, რომ მიიღონ ინფორმირებული, უსაფრთხო და ჯანმრთელი გადაწყვეტილება. ამით ისინი თავიდან იცილებენ სექსუალური ექსპლუატაციისა და ძალადობის რისკს და, ამდენად, შეუძლიათ ჩამოაყალიბონ ჯანმრთელი და პოზიტიური ურთიერთობები.

ქმედითი, ასაკის შესაბამისი საგანმანათლებლო მასალა, მორგებული ბავშვების განსაკუთრებულ საჭიროებებსა და მათ მგრძნობიარე ბუნებას, რომელშიც მოცემულია კულტურული თვალსაზრისით სენსიტიური მასალა და გამოყენებულია ბავშვებისათვის გასაგები ენა, უნდა გამოიყენებოდეს

განათლების როგორც საწყის, ასევე საშუალო საფეხურზე. ამ გზით ბავშვები იღებენ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა არის სექსუალური ძალადობა და როგორ ამოიცნონ იგი, ეს კი ხელს უწყობს პრევენციას უსაფრთხო პრაქტიკის წახალისების მეშვეობით. ამ მასალებში აუცილებლად უნდა იყოს ჩართული ინფორმაცია ახალი საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შესახებ და იმ რისკებზე, რაც ახლავს ინტერნეტის გამოყენებას; აგრეთვე ინტერნეტში არალეგალური შინაარსის აღმოჩენის შემთხვევაში შეტყობინების გაგზავნის წესებს.

ნებისმიერი საგანმანათლებლო და საინფორმაციო კამპანია უნდა მოიცავდეს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ სად შეიძლება რჩევისა და მხარდაჭერის მიღება, მაგალითად, ამისათვის განკუთვნილი სატელეფონო ცხელი ხაზი ან დახმარების ხაზი, კერძოდ, ადგილობრივი და ევროპული ნომრები, რომლებიც ჩართულია სამუშაო საათების შემდეგაც, რათა ბავშვებმა იცოდნენ, ვის მიმართონ საჭიროების შემთხვევაში. ყველა სკოლის მოსწავლეს შეიძლება დაურიგდეს მცირე ზომის, ადვილად სატარებელი სამახსოვრო ბარათები, გასაღების ასაცმელი რგოლები ან მობილური ტელეფონის გადასაკრავები, სადაც დატანილი იქნება სასარგებლო ნომრები და მისამართები, რათა ბავშვებს ყოველთვის ხელთ ჰქონდეთ ეს ინფორმაცია. ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოებმა შეიძლება გამოუშვან ამ ინფორმაციის შემცველი მაცივრის მაგნიტები, რათა უზრუნველყონ, რომ ყველა სახლის ნებისმიერ ბავშვს აქვს წვდომა ამ ინფორმაციაზე. ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ რომ ინფორმაციაც და დახმარებაც იყოს ადვილად მოსაპოვებელი და ცხადი - ქალაქისა თუ რეგიონის ვებ გვერდებზე შესაბამისი ბმულის მოთავსება, რომელზე ერთი დაწკაპუნებაც საკმარისია ბავშვებისათვის რჩევისა და დახმარების მისაღებად, არც ისე რთული საქმეა. ინფორმაცია

იმის შესახებ, თუ სად წავიდნენ და ვის მიმართონ საჭიროების შემთხვევაში, უნდა იყოს გამოფენილი ყველგან, სადაც ბავშვები ხვდებიან: სკოლებში, სათამაშო მოედნებზე, ახალგაზრდულ ცენტრებში, ჯანმრთელობის ცენტრებში, საჯარო ბიბლიოთეკებში, საავარიო და გადაუდებელი დახმარების ცენტრებში, სქესობრივი ჯანმრთელობის ცენტრებში, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების ვებ გვერდებზე, ეკლესიებსა და სხვ.

*პარტნიორები პრევენციის ღონისძიებებში*

ლანზაროტის კონვენცია მოუწოდებს ხელისუფლების ორგანოებს, დააარსონ დამოუკიდებელი ინსტიტუციები ბავშვთა უფლებების პოპულარიზაციისა და დაცვის მიზნით. იგი ასევე იძლევა რეკომენდაციას, დაინიშნოს პირი ან გამოიყოს ორგანო, ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობისა და ექსპლუატაციის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით. ეს შეიძლება იყოს ბავშვთა ომბუდსმენი, ბავშვთა ადვოკატი ან ბავშვთა უფლებების კომისარი. ასეთ თანამდებობათა გამოყოფა შესაძლებელია ადგილობრივ და/ან რეგიონულ დონეზე. ბევრი ორგანიზაცია და ასოციაცია - საერთაშორისო, ევროპულ, ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე - ძალიან აქტიურია ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობისა და გარყვნილი ქმედების

<u>წინადადებები მოქმედებისათვის:</u>

- ადგილობრივ/რეგიონულ დონეზე დაინიშნოს ადამიანი ან გამოიყოს ორგანო, რომელსაც დაევალება ბავშვთა სექსუალური ძალადობისა და შეურაცხყოფის შესახებ ცნობიერების ამაღლება
- სამოქალაქო საზოგადოებასთან მუშაობა ადგილობრივი ვითარების თავისებურებათა შესახებ ინფორმაციის შესაგროვებლად, რათა დაიხვეწოს პოლიტიკა და გასატარებელი ქმედებები
- მედიასთან თანამშრომლობა
- თანამშრომლობა ქალქის საზღვრებს მიღმაც.

წინააღმდეგ ბრძოლაში. ბევრმა მათგანმა მოამზადა ცნობიერების ასამაღლებელი და საინფორმაციო ხასიათის დოკუმენტები და მასალები, რომლებიც ფართოდ უნდა გავრცელდეს. ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოების ეროვნულმა ასოციაციებმა და თავად ხელისუფლების ორგანოებმა უნდა იმუშაონ ამ ორგანიზაციებთან, რათა უზრუნველყონ აღნიშული მასალების ფართომასშტაბიანი გამოყენება.

ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაცია და მათზე ძალადობა ფარულ დანაშაულად ითვლება, რამდენადაც მსხვერპლი ბავშვები, როგორც წესი, მძიმედ ამჟღავნებენ ამას. ეს ფაქტი და ისიც, რომ არ არსებობს მონაცემთა შეგროვების სტანდარტიზებული და ადეკვატური მეთოდები იმას მიუთითებს, რომ ძნელია დავინახოთ რეალური სურათი ამ პრობლემის ფარგლების შესახებ. მნიშვნელოვანია, რომ ადგილობრივი და/ან რეგიონული ხელისუფლების ორგანოებმა შემოიღონ ინფორმაციის შეგროვების მექანიზმები, რათა დააკვირდნენ და შეაფასონ ამ სფეროში არსებული ვითარება. მონაცემთა შეგროვების წყალობით, ხელისუფლების ორგანოები შეძლებენ თავიანთ რეგიონში ბავშვთა ექსპლუატაციის რისკების, მასშტაბისა და ბუნების შეფასებას და პრობლემაზე ინფორმირებულ რეაგირებას.

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შეუძლიათ იმუშაონ ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოებთან პროექტებსა და პროგრამებზე, რომელთა მიზანიცაა ბავშვთა დაცვა. იგივე შეუძლია კერძო სექტორსაც, კერძოდ, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიოების სექტორსა და მედიას. თანამშრომლობა რეგიონულ დონეზე ქმედითი ზომა იქნება დამნაშავეთა მიზანში ამოსაღებად, რომლებიც კვეთენ საზღვრებს, მაგალითად, ბავშვთა ტრეფიკინგის დროს.

## ოთხი “P”: დაცვა

სექსუალური ექსპლუატაციის მსხვერპლ ბავშვებთან სახელისუფლებო რგოლთაგან ყველაზე ახლოს არიან ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოები, რომელთაც ყველაზე უკეთ შეუძლიათ ისეთი სტრუქტურების შექმნა, რომლებიც გააერთიანებენ ბავშვის ზრუნვაში ჩართულ ყველა მხარეს და უზრუნველყოფენ, რომ მათზე გავრცელდეს საუკეთესო მხარდაჭერა და მაქსიმალური დახმარება. მათი მოვალეობაა დააკმაყოფილონ არა მარტო მსხვერპლი ბავშვების, არამედ ოჯახის სისტემისა და მთლიანად საზოგადოების საჭიროებები. ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოებმა მხარი უნდა დაუჭირონ მიდგომას ყველა მონაწილე მხარის ჩართულობით და განავითარონ კოორდინირებული მულტიდისციპლინური სტრუქტურები, პროცესები და მექანიზმები, რათა გაუმკლავდნენ ბავშვთა მიმართ ძალადობას.

### *მულტიდისციპლინური ცენტრები*

ქალაქებმა და რეგიონებმა უნდა მიიღონ ერთიანი, ინტეგრირებული მიდგომა, დაფუძნებული უწყებათაშორის სტრატეგიაზე და დააწესონ სპეციალიზირებული, საგანგებო ორგანოები, ცხადად განსაზღვრული ფუნქციებითა და პასუხისმგებლობებით, რომლებიც

<u>**წინადადებები მოქმედებისათვის:**</u>

- უწყებათაშორისი, მულტიდისციპლინური, ბავშვზე მორგებული სახლების დაარსება
- ვალდებულების დაკისრება, მიაწოდონ ინფორმაცია ადგილობრივ/რეგიონულ დონეზე
- ადგილობრივი და ევროპული ტელეფონის ნომრებისა ან ონლაინ დახმარების ხაზებზე ინფორმაციის გავრცელება
- ცხადი სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავება ყველა პროფესიონალისათვის, რომელიც მუშაობს ბავშვებთან ძალადობის შემთხვევებზე ინფორმაციის მიწოდებისთვის.

გააერთიანებენ ბავშვთა დაცვასა თუ მათ შეძლებასა და კეთილდღეობაზე მომუშავე ყველა ადგილობრივ სამსახურს. დაცვის ადგილობრივი სტრატეგია ისე უნდა შემუშავდეს, რომ ითვალისწინებდეს საგანგებო ადგილობრივ პროცედურებსა და სისტემებს.

უმეტეს ევროპულ ქვეყანაში ბავშვთა სექსუალურ ექსპლუატაციაზე პასუხისმგებლობა აკისრია სხვადასხვა ორგანოს, რომელთაგან ყველას ვალდებულებაა შემთხვევის გამოძიება. ბავშვებს ჰკითხავენ რამდენჯერმე, რისი შედეგიცაა რევიქტიმიზაცია, რაც შეიძლება იყოს ისევე ან უფრო მეტად მტკივნეული, ვიდრე თავდაპირველი ძალადობა. ლანზაროტის კონვენცია მხარს უჭერს უწყებათაშორისი, მულტიდისციპლინური „ერთიანი" ცენტრების შექმნას, სადაც ერთ ჭერქვეშ იმუშავებს ბავშვზე ძალადობის გამოძიებაში ჩართული ყველა პროფესიონალი - ბავშვის კეთილდღეობასა და ჯანმრთელობის სამსახურის, სამართალდამცავების, სასამართლო ხელისუფლების და სხვ. წარმომადგენელი. ამით სექსუალური ძალადობის მსხვერპლ ბავშვებს თავიდან ავაცილებთ ხელახალ ძალადობას (ბავშვზე მორგებული სახლის კონცეფცია). ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ბავშვებს ჰქონდეთ ადგილი, სადაც წავლენ და საიმედოდ, თავისუფლად და კონფიდენციალურად შეძლებენ თვითგამოხატვას, სადაც თავს უსაფრთხოდ იგრძნობენ. ამგვარი ცენტრების მიზანია: შესაძლებელი გახდეს ბავშვის დაკითხვა და სამედიცინო შემოწმება სასამართლოს მიზნებისათვის, მრავალმხრივი შეფასება და ყველა საჭირო თერაპევტული მომსახურების მიწოდება სათანადო პროფესიონალთა მხრიდან, რითაც მას თავიდან ააცილებენ განმეორებით დაკითხვას და რევიქტიმიზაციას.

მეტი ბავშვის დაცვა იქნება შესაძლებელი, თუ სავალდებულო გახდება ინფორმაციის მიწოდება საეჭვო ვითარების შესახებ, თან ისე, რომ არ დაირღვეს კონფიდენციალობის წესები ან

შეირყეს ბავშვის ნდობა. უნდა შეიქმნას ცხადი სახელმძღვანელო პრინციპები ყველა პროფესიონალისათვის, რომლებიც მუშაობენ ბავშვებთან, თუ როგორ მიმართონ თავიანთი საწუხარის შესახებ საგანგებო ორგანოებს. ადგილობრივმა და რეგიონულმა ხელისუფლების ორგანოებმა კი უნდა ჩაატარონ მოკვლევა, რათა შეაფასონ, რამდენად გონივრულია მიზეზი ძალადობაზე ეჭვის მისატანად. მონაწილე მხარეებმა ასევე უნდა იცოდნენ ბავშვთა დაცვისა და უფლებების შესახებ, ასევე გაცნობიერებული უნდა ჰქონდეთ, რომ უმთავრესია ბავშვის საუკეთესო ინტერესის პირველ ადგილზე დაყენება.

ასეთ ორგანოთა ეროვნულ დონეზე არარსებობის შემთხვევაში, აუცილებლად უნდა შეიქმნას ადვილად მისაწვდომი ტელეფონი ან ონლაინ დახმარება, რაც ანონიმურ კონსულტირებას გაუწევს ბავშვებს.

*პარტნიორები დაცვის ღონისძიებებში*

არასამთავრობო ორგანიზაციები და სამოქალაქო საზოგადოების სხვა ორგანიზაციები მნიშვნელოვანი პარტნიორები არიან, განსაკუთრებით ისინი, ვინც დახმარებას უწევს ძალადობის მსხვერპლთ.

## ოთხი „P”: სამართლებრივი დევნა

ლანზაროტის კონვენცია ახდენს რიგ ქმედებათა კრიმინალიზაციას. მართალია, გამოძიებისა და დამნაშავეთა სამართლებრივი დევნის პროცედურები გაწერილია ადგილობრივი სისხლის სამართლის კანონმდებლობებით, მაგრამ ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლების ორგანოებს მაინც უმთავრესი როლი აკისრიათ ამ სფეროში. ამ ეტაპზე ყველა ქმედებისას, მათ შორის გამოძიებისა და სამართალწარმოებისას, ბავშვის საუკეთესო ინტერესები,

უფლებები და მოწყვლადობა უნდა იდგას უპირველეს ადგილზე.

***მსხვერპლთა დახმარება***

ხელისუფლების ორგანოებმა, არასამთვრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, უნდა უზრუნველყონ, რომ მიიღონ გარკვეული ზომები, როგორიცაა უფასო დახმარების გაწევა სამართალწარმოებისას, მშობლებისა და დედმამიშვილების ადვოკატირება და თერაპევტული დახმარების აღმოჩენა.

***დამნაშავეებთან ბრძოლა***

ადგილობრივმა და რეგიონულმა ხელისუფლების ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ბავშვებისთვის არსებობდეს დახმარების საგანგებო სამსახურები იმისათვის, რომ არ მოხდეს განმეორებითი დანაშაული. მათ ასევე უნდა შეძლონ იმის უზრუნველყოფა, რომ დამნაშავეებსაც ჰქონდეთ ინფორმაცია მათი უფლებებისა და ხელმისაწვდომი მომსახურებების შესახებ.

## ოთხი „P": მონაწილეობა

ევროპის საბჭოს რწმენით, ადამიანური ღირსებისა და ყველა ბავშვისა თუ ახალგაზრდის ჯანმრთელი განვითარებისათვის ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს უფლებათა შესმენასა და სერიოზულად აღქმას. აუცილებელია ბავშვებისა და ახალგაზრდების მოსმენა, მათი თვალსაზრისებისთვის სათანადო წონის მიცემა, ასაკისა და მომწიფების შესაბამისად, რათა ეფექტიანად იქნას დაცული მათი უფლებები, უმთავრესი მნიშვნელობა მიენიჭოს მათ საუკეთესო ინტერესებს ყველა სფეროში, რაც გავლენას ახდენს მათზე. ასევე შესაძლებელი გახდეს მათი დაცვა ძალადობისაგან, შეურაცხყოფისაგან, აბუჩად აგდებისა და ცუდად

მოპყრობისაგან[2]. ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოებმა ამ პრინციპით უნდა იხელმძღვანელონ ყველა ნაბიჯის გადადგმისას.

## კონკრეტულად რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას რეგიონულ დონეზე?

ლანზაროტის კონვენციით გათვალისწინებულ ღონისძიებათა დიდი ნაწილი ასახულია სისხლის სამართლისა და სამოქალაქო კანონმდებლობებში, რაც, ჩვეულებრივ, სახელმწიფოს პასუხისმგებლობის ქვეშ ექცევა. თუმცა, ბავშვთა დაცვის სფეროდან ზოგიერთი საკვანძო საკითხი შეიძლება მოექცეს რეგიონის ვალდებულებათა შორისაც. ასეთი საკითხებია კეთილდღეობის რეგულირება და ორგანიზება, სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურები, ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და ძალადობისაგან დაცვის საგანგებო ზომების გატარება და შესაბამისი სტრუქტურების შექმნა. რეგიონული ხელისუფლების ორგანოებმა და პარლამენტებმა უნდა იმსჯელონ, თუ რა ზომების - საკანონმდებლო თუ ადმინისტრაციული - გატარება შეუძლიათ მათ ლანზაროტის კონვენციის დებულებათა განსახორციელებლად.

## როგორ იმუშავებს პაქტი პრაქტიკაში?

ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე არჩეულ წარმომადგენლებს მოუწოდებენ, რომ ბავშვთა ჯანმრთელობის, კეთილდღეობისა და უსაფრთოხებისათვის

[2] მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2012) წევრი ქვეყნებისადმი 18 წლამდე ასაკის ბავშვებისა და ახალგაზრდების მონაწილეობის შესახებ

პაქტის შესახებ ინფორმაცია მიაწოდონ თავიანთ კოლეგებს და პასუხისმგებელ დეპარტამენტებს თავიანთ ქალაქებსა და რეგიონებში, რათა მათ შეძლონ კონვენციით მოწოდებულ ინიციატივათა განხორციელების წახალისება.

## ონლაინ „პლატფორმა" პაქტის რეგისტრაციისათვის

ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე არჩეულ წარმომადგენლებს შეუძლიათ დარეგისტრირდნენ კონგრესის „პაქტის პლატფორმაზე" (www.coe.int/congress-pact). ქალაქები და რეგიონები, რომლებიც მოწადინებულნი არიან პაქტის განხორციელებისათვის ან უკვე დაიწყეს გარკვეულ ინიციატივათა შესრულება, ასევე მოწვეულნი არიან რეგისტრაციის გასავლელად.

ამ პლატფორმაზე ყველას ექნება შესაძლებლობა, წარმოადგინოს ინფორმაცია ახალი ინიციატივებისა და სტრუქტურების შესახებ, ასევე არსებული ზომების შესახებ და მიუბრუნდეს პლატფორმას ყველა ჯერზე, როცა კი ახალი ღონისძიებები განხორციელდება. ეს ინფორმაცია იძლევა საშუალებას, გაიზომოს „ერთი ხუთიდან" კამპანიის პროგრესი ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე.

## განსახორციელებელ ქმედებათა საკონტროლო სია ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლების ორგანოთათვის

## პრევენცია

- ქალაქისა და რეგიონის ვებ გვერდის მთვარ ფურცელზე ევროპის საბჭოს „ერთი ხუთიდან" კამპანიის ბმულის განთავსება
- საინფორმაციო სესიების ორგანიზება საბავშვო ბაღებში, სკოლებსა და ახალგაზრდობის ცენტრებში ბავშვებისა და თანამშრომლებისათვის
- ინფორმაციისა და სახელმძღვანელო პრინციპების შემცველი საინფორმაციო ფურცლებისა და ლიფლეტების გავრცელება
- ადგილობრივი და რეგიონული პროფესიონალებისათვის ტრენინგების ჩატარება
- პროფესიონალებისა და საზოგადოებისათვის დოსკუსიებისა და სემინარების გამართვა
- ადგილობრივი ევროპული დემოკრატიის კვირეულის გამოყენება ამ საკითხის ხაზგასასმელად
- არასამთავრობო ორგანიზაციებთან, მედიასა და კერძო სექტორთან თანამშრომლობა
- ადგილობრივ/რეგიონულ დონეზე პირის ან ორგანოს გამოყოფა ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობისა და გარყვნილი ქმედების შესახებ ცნობიერების ამაღლებისათვის
- სამოქალაქო საზოგადოებასთან მუშაობა ადგილობრივი ვითარების თავისებურებათა შესახებ ინფორმაციის შესაგროვებლად, რათა დაიხვეწოს პოლიტიკა და გასატარებელი ქმედებები
- თანამშრომლობა ქალაქის საზღვრებს მიღმაც
- ხელის შეწყობა ბავშვებისათვის ადგილობრივი და ევროპული დახმარების ხაზების შექმნაში

- ქალაქებისა ან რეგიონების ვეგ გვერდის მთავარ ფურცელზე ბმულის განთავსება, რომელზე ერთი დაწკაპუნებითაც ადვილად ხელმისაწვდომი იქნება დახმარება და კონსულტაციები
- ადვილად სატარებელი სამახსოვრო ბარათების მომზადება სასარგებლო ნომრებითა და მისამართებით და სკოლის ყველა მოსწავლისათვის დარიგება
- თითოეული სახლისათვის მაცივრის მაგნიტების დამზადება, რომელზეც განთვსებული იქნება მნიშვნელოვანი ნომრები
- იმ ადგილებში, სადაც ბავშვები ხშირად ხვდებიან, პოსტერების გამოფენა, რომელზეც იქნება ინფორმაცია, თუ სად მიმართონ ძალადობის შემთხვევაში
- ბავშვებზე მორგებული საგანმანათლებლო მასალების გავრცელება სკოლებსა და ახალგაზრდობის ცენტრებში
- საინფორმაციო ფურცლებისა და ლიფლეტების გავრცელება ინტერნეტის უსაფრთხო მოხმარებაზე
- უკანონო ინტერნეტ საქმიანობათა შესახებ ინფორმაციის მიწოდების ხელშეწყობა

## დაცვა

- უწყებათაშორისი, მულტიდისციპლინური, ბავშვებზე მორგებული სახლების გახსნა
- ადგილობრივ/რეგიონულ დონეზე შეტყობინების ვალდებულების დაკისრება
- სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავება იმ პროფესიონალთათვის, რომლებიც ბავშვებთან მუშაობენ ძალადობის შემთხვევებზე ინფორმაციის მიწოდების მიზნით

## დოკუმენტები და ვებ გვერდები

- „ერთი ხუთიდან“, ევროპის საბჭოს კამპანია ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის შესაწყვეტად
  ONE in FIVE, the Council of Europe campaign to stop sexual violence against children

- ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან დაცვის ევროპის საბჭოს კონვენცია
  Council of Europe Convention on the Protection of Children against Sexual Exploitation and Sexual Abuse

- ევროპის საბჭოს სტრატეგია ბავშვის უფლებებისათვის 2012-2015
  Council of Europe Strategy for the Rights of the Child 2012-2015

- ევროპის საბჭოს კონვენცია ადამიანებით უკანონო ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ
  Council of Europe Convention on Action against Trafficking in Human Beings

- კონვენცია კიბერდანაშაულის შესახებ
  Convention on Cybercrime

- ევროპული კონვენცია ბავშვთა უფლებების გამოყენების შესახებ
  European Convention on the Exercise of Children's Rights

- ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის სახელმძღვანელო პრინციპები ბავშვებზე მორგებული მართლმსაჯულების შესახებ
  Guidelines of the Committee of Ministers of the Council of Europe on child friendly justice

- რეკომენდაცია 18 წლამდე ასაკის ბავშვებისა და ახალგაზრდების მონაწილეობის შესახებ Recommendation on the Participation of children and young people under the age of 18

- აღმოაჩინე ბავშვთა უფლებები!
Discover children's rights!

- აღმართე ხელი წამოთაქების წინააღმდეგ!
Raise your hand against smacking!

- გასეირნება ველურ ვებ ტყეში
Wild Web Woods